საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 0 22 0001344946

24/10/2022

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.3 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.4 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გეგმიური მონიტორინგის გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის კრიტერიუმები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
1.5 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების გეგმიური მონიტორინგის წლიური გეგმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას.
1.6 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება
2.1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 ივნისის №595604 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და მონიტორინგის განხორიცელების პირობით.

2.2. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შესახებ“ ცენტრის 2022 წლის 30 ივნისის №740047 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა 2022 წლის 21 ივლისს.

ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა წარმოდგენილი განაცხადი, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა ***2022 წლის 07 ოქტომბერს***. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 24 ოქტომბრის №1342733 სხდომის ოქმის №08 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №1).
3. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 24 ოქტომბერს.
4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით

აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 18 ივნისის № 595604 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0732, მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 68,
15	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2022 წლის 24 ოქტომბერი